ულტრამემარჯვენე ჯგუფების პოლიტიკური დისკურსი ონლაინ და სოციალურ მედიაში

2023

ანგარიში მოამზადა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა (DRI) პროექტის „2024 წლის საპარლამენტო არჩევნების ფონზე ულტრამემარჯვენე ჯგუფების გზავნილების პრევენცია საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია შავი ზღვის ფონდის (Black Sea Trust) მიერ. პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა იქნეს აღქმული დონორის ოფიციალურ მოსაზრებად.

სარჩევი

შესავალი 3

მეთოდოლოგიური ჩარჩო 4

1. ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და „ქართული ოცნების“ იდენტური დისკურსი 6

1.1. რუსეთთან პირდაპირი ავიარეისი - პროკრემლისტურ ფოკუსში 6

1.2. ჰომოფობიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია 9

2. ნეოფაშისტური ჯგუფის „საქართველოს ეროვნული ერთობის“ პოლიტიკური ტრანსფორმაცია 12

3. საქართველოში არსებული ულტრამემარჯვენე აქტორების ანოტაციები 15

„საქართველოს ეროვნული ერთობა“ 15

„ქართული იდეა“ 18

„კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ 20

შესავალი

საქართველოში ხილვადი ხდება ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების მცდელობა, გავლენა იქონიონ პოლიტიკურ დღის წესრიგზე. იმის გათვალისწინებით, რომ ულტრამემარჯვენე ძალები ღიად აცხადებენ ხელისუფლებაში მოსვლის ამბიციას, მოახლოებული 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების ფონზე განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მათი სამოქმედო დღის წესრიგის, რიტორიკისა და ძირითადი ნარატივების ანალიზი. ვინაიდან ულტრამემარჯვენე ჯგუფები მხარდამჭერთა მობილიზაციისთვის ძირითადად სოციალურ ქსელებს და ონლაინ პლატფორმებს იყენებენ, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი 2019 წლიდან აკვირდება ამ ჯგუფებისა და მათი ლიდერების ქცევას სოციალურ ქსელებში, ონლაინ მედიასა და სხვა საინფორმაციო პლატფორმებზე.

წინამდებარე ანგარიშში დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა ულტრამემარჯვენე ჯგუფების საქმიანობაზე დაკვირვების სამთვიანი პერიოდი (2023 წლის მაისი-ივლისი) შეაჯამა - სოციალურ ქსელებში და ონლაინ მედიაში გავრცელებული პროპაგანდისტული შინაარსის 768 შემთხვევის ანალიზზე დაყრდნობით; ასევე, აღწერა ის პოლიტიკური დაჯგუფებები, რომლებიც ულტრა-მემარჯვენე ფლანგზე ყველაზე მეტად აქტიურობენ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ამბიცია აქვთ.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა, რომ „ქართული ოცნებისა“ და ღიად პრორუსული ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების ლიდერებს იდენტური გზავნილები აქვთ ევროსკეპტიციზმსა და ჰომოფობიასთან დაკავშირებით - ორივე პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები ცდილობენ პრორუსული განწყობების ფონზე, ევროსკეპტიციზმის გაღვივებას და ჰომოფობიის პოლიტიკურ ინსტრუმენტალიზაციას.

სოციალური ქსელების და ონლაინ მედიის მონიტორინგის შედეგად, ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების დისკურსში ორი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა, რომელთა გარშემოც ინტერაქცია ყველაზე მაღალი იყო:

1. ჰომოფობიური რიტორიკა, რომელიც 17 მაისის მოახლოების პარალელურად გააქტიურდა და კულმინაციას მიაღწია 8 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ მიერ დაანონსებული ფესტივალის ჩაშლით. დაკვირვებამ გამოააშკარავა ხელისუფლების ლოიალური პოლიტიკა ულტრამემარჯვენე ძალადობრივი ჯგუფების მიმართ. გასული წლების მსგავსად, ულტრამემარჯვენე ჯგუფების ჰომოფობიური რიტორიკა ანტიდასავლურ დისკურსს ერწყმოდა და გაჯერებული იყო ეროვნული და რელიგიური სენტიმენტებით.

2. პროკრემლისტური რიტორიკა, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის დაწესებული სავიზო რეჟიმს გაუქმებისა და პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის განახლების ფონზე. ულტრამემარჯვენე ჯგუფები „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, ერთ ხმაში ცდილობდნენ რუსეთთან მჭიდრო კომუნიკაციის მნიშვნელობის ხაზგასმას, ეკონომიკური სარგებლიანობის მოტივით. აღსანიშნავია, რომ ღიად პრორუსული, ძალადობრივი პოლიტიკური დაჯგუფება „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ საკუთარ მიღწევად წარმოაჩენდა რუსეთის პრეზიდენტის განკარგულებას სავიზო რეჟიმის გაუქმებისა და საქართველოსთან პირდაპირი ფრენების აღდგენასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში შესამჩნევი იყო ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მქონე სხვა ჯგუფების პოლიტიკურ ველზე გააქტიურება. კერძოდ, 2023 წელს ცნობილი გახდა, რომ ნეოფაშისტმა გიორგი ჭელიძემ ~~ჯგუფი~~ „საქართველოს ეროვნული ერთობა“ დააფუძნა და 2024 წლის არჩევნებში მონაწილეობაც დააანონსა.

მეთოდოლოგიური ჩარჩო

ანგარიში ეფუძნება შინაარსობრივი ანალიზის მეთოდს და მასში ასახულია 2023 წლის მაისიდან ივლისის ჩათვლით ულტრამემარჯვენე პოლიტიკური სუბიექტების, ჯგუფებისა და მედია პლატფორმების აქტივობები, მანიპულაციური კონტექსტი, ტენდენციები და დისკურსი სოციალურ ქსელებსა და ონლაინ მედიაში.

ანგარიშის პირველი თავი ეთმობა ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და ხელისუფლების იდენტური რიტორიკის მიმოხილვას. მეორე თავში გაანალიზებულია ღიად ნეოფაშისტური ორგანიზაციის „საქართველოს ეროვნული ერთობის“ პოლიტიკური ტრანსფორმაცია და მისი დღის წესრიგი. ხოლო მესამე თავი საინფორმაციო ხასიათისაა და საზოგადოებას აწვდის ძირითად მონაცემებს საქართველოში მოქმედი ულტრამემარჯვენე ჯგუფების შესახებ.

მონიტორინგის პროცესში გავაანალიზეთ ულტრამემარჯვენე პოლიტიკური დაჯგუფებების და მათი ლიდერების ძირითადი პოლიტიკური ნარატივები. ანგარიშში აღწერილია „ქართული იდეის“ და „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“, ასევე, ნეოფაშისტური ორგანიზაცია „საქართველოს ეროვნული ერთობისა“ და ღიად ულტრამემარჯვენე ჯგუფების „ბავშვთა უფლებების დაცვის ორგანიზაციის“, „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ და „ქართული მისიის“ ოფიციალურ და მხარდამჭერთა გვერდებზე გააქტიურებული დეზინფორმაციული, მადისკრედიტირებელი თუ სიძულვილის ენის შემცველი გზავნილები. საკვლევ ობიექტებად განისაზღვრა აგრეთვე ღიად პროკრემლისტური და ანტიდასავლური განწყობების მქონე მედია პლატფორმები: „ალტ-ინფო“ და „სეზონი TV“.

ულტრამემარჯვენე რიტორიკის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი აკვირდებოდა ულტრამემარჯვენე განწყობებით ცნობილი პირების - ლევან ჩაჩუას („ქართული იდეა“), ზურა მახარაძის, კონსტანტინე მორგოშიას, ირაკლი და შოთა მარტინენკოების, გიორგი ქარდავას („კონსერვატიული მოძრაობა“), გურამ და ალექსანდრე ფალავანდიშვილების („ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“) და ვატო შაქარაშვილის („საქართველო უპირველეს ყოვლისა“) პირად ფეისბუქ გვერდებს.

გარდა ამისა, გავაანალიზეთ ის ონლაინ სივრცე და მედია კონტენტი, სადაც ყველაზე აქტიურად მიმდინარეობს ულტრამემარჯვენე ძალების სამოქმედო დღის წესრიგისა და პოსტულატების ჩამოყალიბება-გავრცელება. მანიპულაციური და პოპულისტური ნარატივების გავრცელების სიხშირე და არეალი ხარისხობრივად ფეისბუქის ანალიტიკური ხელსაწყო CrowdTangle-ს გამოყენებით შევისწავლეთ.

მონიტორინგის ფარგლებში საინფორმაციო მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის

შედეგად გამოიკვეთა, რომ პოსტების 75%-ს შეადგენდა ტექსტური მასალა (სტატუსი, სტატია), 10%-ს ვიდეო კონტენტი (ლაივ ჩართვების ჩათვლით) და 15%-ს ფოტო მასალა.





1. ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და „ქართული ოცნების“ იდენტური დისკურსი

საანგარიშო პერიოდში შესამჩნევ ტენდენციად გამოიკვეთა ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და „ქართული ოცნების“ იდენტური გზავნილები ისეთი საკითხების გარშემო, როგორიცაა: 1) რუსეთთან პირდაპირი ფრენების განახლება და ამ ფონზე პრორუსული გზავნილების გააქტიურება; და 2) მტრული დამოკიდებულება უმცირესობების მიმართ და ჰომოფობია, როგორც კოლექტიური დასავლეთის „ნაკლოვანებების“ წარმოსაჩენი პოლიტიკური ინსტრუმენტი. საგულისხმოა, რომ ორივე პოლიტიკური სუბიექტი მსგავსი განცხადებებით ცდილობდა რუსეთთან მჭიდრო კომუნიკაციის მნიშვნელობის ხაზგასმას, ეკონომიკურ სარგებლიანობაზე აპელირებით. ჰომოფობიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის უმთავრეს მიზანს კი საზოგადოებაში ირაციონალური შიშების გაღვივება და დასავლური საგარეო ვექტორის ცვლილება შეიძლება წარმოადგენდეს.

2023 წლის 4 მაისს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის კონსერვატიულ პოლიტიკურ სამოქმედო კონფერენციაზე (CPAC) ჰომოფობიური ნარატივებით გაჯერებული სიტყვით გამოსვლას საქართველოში მოქმედი ღიად პრორუსული ულტრამემარჯვენე ძალების დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. თავის მხრივ, ხელისუფლების ლოიალური პოლიტიკა ულტრამემარჯვენე ჯგუფებისადმი თვალშისაცემი იყო 2023 წლის 8 ივლისს, მოძალადე ჯგუფების მიერ დარბეული და ჩაშლილი „პრაიდ ფესტივალის“ ფონზე.

1.1. რუსეთთან პირდაპირი ავიარეისი - პროკრემლისტურ ფოკუსში

ვლადიმერ პუტინის 2023 წლის 10 მაისის განკარგულებით, საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი გაუქმდა და საქართველო-რუსეთს შორის პირდაპირ ფრენებზე შეზღუდვა მოიხსნა. რუსეთის გადაწყვეტილებას დადებითი შეფასებებით გამოეხმაურნენ საქართველოში მოქმედი ღიად პრორუსული ულტრამემარჯვენე ჯგუფები. რუსეთთან მჭიდრო კომუნიკაციის მნიშვნელობის ხაზგასმა, განსაკუთრებით, ეკონომიკურ კეთილდღეობაზე მითის შექმნა პირდაპირი ფრენების აღდგენით თუ უვიზო რეჟიმის გაუქმებით, პრორუსული ძალადობრივი „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ პოლიტიკური სპეკულაციების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. დაფუძნების დღიდან, დაჯგუფების ლიდერები ღიად აღნიშნავენ, რომ მათი მიზანი რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებაა, რაც არაერთხელ დაასახელეს რუსეთში განხორციელებული „ოფიციალური ვიზიტების“ მთავარ მიზეზად.

ძალადობრივი პოლიტიკური დაჯგუფების „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფოს“ ლიდერი კონსტანტინე მორგოშია საკუთარი პოლიტიკური აქტიურობის დამსახურებად მიიჩნევს რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას საქართველოსთან უვიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ. 10 მაისს გამოქვეყნებულ ფეისბუქ პოსტში მორგოშიამ დაწერა: **„ეს არის ჩვენი შრომით და ერთობით მიღწეული გამარჯვება!“** მისი განცხადებით, „კონსერვატიულმა მოძრაობამ“ სამივე პოლიტიკური დაპირება შეასრულა: ხელი შეუწყო რუსეთთან უვიზო რეჟიმის გაუქმებას, პირდაპირი ფრენებისა და სავაჭრო ურთიერთობების აღდგენას. პუტინის გადაწყვეტილება

კონსერვატიული ძალების მნიშვნელოვან მიღწევად შეაფასა „კონსერვატიული მოძრაობის/ალტ-ინფოს“ თავმჯდომარემ გიორგი ქარდავამაც. „ალტ-ინფოს“ გადაცემაში „ალტ-ანალიტიკა“ ქარდავამ 10 მაისს განაცხადა: „სწორედ [ჩვენი] დამსახურებით, რუსეთში დაინახეს, რომ საქართველოსთან მიმართებაში ყველაფერი დაკარგული არ არის და აქ არის ის ძალა, რომელიც ქვეყანას გამოიყვანს იმ კრიზისიდან, რომელსაც ლიბერალიზაცია იწვევს“.

რუსეთთან აღდგენილი პირდაპირი რეისების პარალელურად, ულტრამემარჯვენე პრორუსული ჯგუფები შეეცადნენ საზოგადოებაში შეექმნათ ილუზორული იმედი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით, რუსეთთან პირდაპირი დიალოგის შემთხვევაში. ირაკლი მარტინენკომ 19 მაისს გადაცემაში „ალტერნატიული ხედვა“ განაცხადა, რომ „თუ რუსეთთან საქართველო დაიწყებს კარგ ურთიერთობას, ტერიტორიულ მთლიანობას მოაგვარებს და რუსეთთან საერთოდ აღარაფერი პრობლემა აღარ გვექნება.“

ულტრამემარჯვენე განწყობებით ცნობილმა „ქართული მისიის“ დამფუძნებელმა რამაზ გაგნიძემ რუსეთთან პირდაპირი ფრენების მოწინააღმდეგეები საქართველოს მტრებად და ტერიტორიული ერთიანობის აღდგენის მოწინააღმდეგე ძალად წარმოაჩინა. „ლიბერასტებისთვის აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნება მიუღებელია. მათი სურვილია ნატოში შესვლა ტერიტორიული მთლიანობის გარეშე!“ - აღნიშნა რამაზ გაგნიძემ 22 მაისს გამოქვეყნებულ ფეისბუქ პოსტში.

რუსეთის პრეზიდენტის განკარგულებას საქართველოსთან უვიზო რეჟიმის ამოქმედებასთან დაკავშირებით, პოზიტიურად გამოეხმაურნენ ხელისუფლების წარმომადგენლებიც. საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა აღნიშნა: ჰუმანიტარული პრიზმიდან მოსკოვის გადაწყვეტილება „ნებისმიერი პასუხისმგებლიანი ხელისუფლებისთვის არის მისასალმებელი“.

პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ღიად კრემლისტური ძალების მესიჯბოქსი გაიმეორა და ეკონომიკურ სარგებლიანობაზე აპელირებით შეეცადა რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება საქართველოსთვის სასიკეთოდ წარმოეჩინა: „დღეს რაც ვიხილეთ, ეს არის სანქციის მოხსნა, ანუ გარკვეული სასჯელი იყო დაწესებული საქართველოს მოქალაქეებისთვის, მილიონამდე ადამიანისთვის, რომელიც არის პოტენციური მოსარგებლე ამ საკითხით და საბოლოო ჯამში, დღეს ეს სანქცია მოიხსნა.“

რეზონანსული საკითხი აღმოჩნდა 2023 წლის 19 მაისს რუსული ავიაკომპანია „აზიმუტის“ პირდაპირი რეისი საქართველოში, რომელსაც სამოქალაქო პროტესტი და ულტრამემარჯვენე ჯგუფების დადებითი შეფასებები მოჰყვა. რუსული კრემლისტური მედია РИА Новости-ის ინფორმაციით, 19 მაისს „აზიმუტის“ რეისის ბორტზე 86 მგზავრი იმყოფებოდა. მგზავრებს შორის იყვნენ 14 მაისს მოსკოვში რუსეთის სახელმწიფო დუმის დსთ-ს საქმეთა კომიტეტის ორგანიზებით გამართულ ფორუმში მონაწილე ქართული დელეგაციის წევრები: „პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის“ დირექტორი დიმიტრი ლორთქიფანიძე, „ქართულ-რუსული მეგობრობის ცენტრის“ ხელმძღვანელი ვალერი კვარაცხელია, პროკრემლისტური საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ თავმჯდომარე მერაბ ჭიქაშვილი და „ქართული ოცნების“ ყოფილი დეპუტატი თემურ მაისურაძე. აღნიშნულ ფორუმზე დელეგატებმა რუსეთ-საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმებისა და პირდაპირი საავიაციო რეისების აღდგენის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. სწორედ აღნიშნულ ფორუმში მონაწილეობის დამადასტურებელი ფოტო-სურათებითა და

სამადლობელი პოსტით ამცნო საზოგადოებას დიმიტრი ლორთქიფანიძემ 19 მაისს საქართველოში რუსეთიდან შესრულებული პირდაპირი ავიარეისით დაბრუნების შესახებ.



რუსეთთან პირდაპირი ფრენების აღდგენის პარალელურად, ოპოზიციური ძალებისა და სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგობა მოჰყვა ყვარელში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის ნათესავის ქორწილს, სადაც სტუმართა შორის იყო ლავროვის ქალიშვილი, რომელიც აშშ-ს, კანადის, უკრაინის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიისა და ავსტრალიის მიერ სანქცირებულ პირთა სიაშია. ქორწილის სტუმრებისთვის დისკომფორტის შექმნის შემდეგ, აქტივისტთა დისკრედიტაციის კამპანია უნისონში აწარმოეს ულტრამემარჯვენე ძალებმა და „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ.

პოლიტიკური დაჯგუფება „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერებმა საპროტესტო აქციებს „ქსენოფობია“ და „რადიკალური, ლიბერალური ძალების ანტირუსული ისტერია“ უწოდეს. 21 მაისს „ალტ-ინფოს“ გადაცემაში „ალტერნატიული ხედვა“ „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერმა ირაკლი მორგოშიამ განაცხადა, რომ „გარედან დაფინანსებული ძალების მისიაა, საქართველოში არეულობის მოწყობა და ყველანაირი ბერკეტის გამოყენება დესტრუქციის მოსაწყობად“. 21 მაისს გადაცემაში „დღის კომენტარი“ „კონსერვატიული მოძრაობის“ წევრმა ვანო ბიბილეიშვილმა აღნიშნა, რომ ყვარელში მიმდინარე საპროტესტო აქციები მართული იყო „ულტრალიბერალური, რადიკალური ძალების“ მიერ, რომელთა ინტერესშია „ხელისუფლების ძალადობრივი გზით ცვლილება“. მან პარალელი გაავლო „გავრილოვის ღამესთან“ და დასძინა, რომ როგორც წარსულში, ამ შემთხვევაშიც ოპოზიციური ძალები ლავროვის ნათესავის ქორწილის შესახებ წინასწარ იყვნენ ინფორმირებულები.

ულტრამემარჯვენე ჯგუფების მსგავსად, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ნათესავის ქორწილის ჩაშლა ქსენოფობიის გამოვლინებად და ქართულ კულტურასთან შეუთავსებელ მოვლენად შეაფასა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, რომელმაც სამოქალაქო პროტესტს „ლიბერალურ-ფაშისტური კამპანია“ უწოდა.

1.2. ჰომოფობიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია

ბოლო პერიოდში საქართველოში, ხელისუფლების რიტორიკაში მკაფიოდ გამოიკვეთა პოლიტიკური ჰომოფობიის ნიშნები, რომლის მთავარი მიზანიც მმართველი პოლიტიკური ძალის გარშემო კონსერვატიულად განწყობილი ამომრჩევლის მობილიზება შეიძლება იყოს. სახიფათოა პოლიტიკური ჰომოფობიის გეოპოლიტიკური მდგენელიც, რომლის თანახმადაც, ხელისუფლება, ულტრამემარჯვენე ძალებთან უნისონში ცდილობს ტრადიციულ და რელიგიურ სენტიმენტებზე აპელირებით, მოახდინოს კოლექტიური დასავლეთის დისკრედიტაცია, სადაც ლგბტქ მოძრაობამ ადამიანის უფლებები და თანასწორობა სარწმუნო გახადა.

ჰომოფობიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის ნიშნები კიდევ უფრო მკაფიოდ იკვეთება ულტრამემარჯვენე, ძალადობრივი დაჯგუფების „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ დღის წესრიგში. კერძოდ, კრემლისტური განწყობების ფონზე, აღნიშნული დაჯგუფების წარმომადგენლები ცდილობენ დასავლეთის დემონიზებას და რუსეთის გავლენების გაზრდას საქართველოში.

კოლექტიური დასავლეთისგან განსხვავებით, რუსეთში ლგბტქ თემის წარმომადგენლები იდევნებიან; კანონმდებლობით იკრძალება „ლგბტ პროპაგანდა“. რუსული გავლენა ცალსახად შესამჩნევია ქართული ულტრამემარჯვენე ჯგუფების რიტორიკაზეც. საანგარიშო პერიოდში „კონსერვატიულმა მოძრაობამ/ალტ-ინფომ“ საქართველოს პარლამენტს კანონპროექტთა პაკეტი წარუდგინა, რითაც ლგბტქ ადამიანების მანიფესტაციების შეზღუდვა მოითხოვა. მოძალადეებმა პარლამენტში კანონპროექტი საკანონმდებლო ინიციატივად 25 000 ამომრჩევლის ხელმოწერით დაარეგისტრირეს. კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ უნდა აიკრძალოს შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება, „თუ იგი მიზნად ისახავს, ან რომლის დროსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სექსუალური ორიენტაციის დემონსტრირებას, პოპულარიზაციას ან/და პროპაგანდას“. ასევე, ძალადობრივი მოძრაობის წევრები ითხოვენ აიკრძალოს ისეთი შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარებაც, სადაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს რომელიმე რელიგიის საწინააღმდეგო განცხადებებსა და მოწოდებებს. საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებს ცვლილებებს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“, რომლის თანახმადაც, კანონის დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 25 დღემდე. ხოლო თუ დამრღვევი ორგანიზატორია - დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღემდე ვადით. „დარღვევის“ განმეორებით ჩადენის შემთხვევაში კი, კანონპროექტში წარმოდგენილია სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებებით, გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, სასჯელის მაქსიმალურ ზომად კი განსაზღვრულია თავისუფლების 2 წლამდე აღკვეთა.

აღნიშნულ კანონპროექტს გამოეხმაურა საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე და აღნიშნა, რომ „ხელისუფლება არ გეგმავს ისეთი კანონპროექტის მიღებას, რომელიც „ლგბტ პროპაგანდის“ აკრძალვას შეეხება და საფრთხეს შეუქმნის რომელიმე ჯგუფის უფლებების დაცვას“. საგულისხმოა, რომ საპირისპირო ინფორმაცია გაავრცელა „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერმა კონსტანტინე მორგოშიამ. მისი ფეისბუქ-პოსტის თანახმად, ხელისუფლება მათ მიერ ინიციირებულ კანონპროექტებს მხარს დაუჭერს: „მაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ „ქართული ოცნება“, პარტნიორი პარტიების მეშვეობით, მიიღებს ყველა იმ კანონს, რომლის მიღებასაც ჩვენ წლებია

ვითხოვთ და ვიბრძვით!!! მათ შორის, კანონს გეი-პროპაგანდის წინააღმდეგ!!! ეს ამბავი ძალიან მახარებს, სჯობს გვიან ვიდრე არასდროს!!!“

საანგარიშო პერიოდში, ულტრამემარჯვენე ჯგუფების რიტორიკასთან სრულ თანხვედრაში აღმოჩნდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ჰომოფობიური გზავნილები, რომელიც მან 2023 წლის 4 მაისს კონსერვატიულ პოლიტიკურ სამოქმედო კონფერენციაზე (CPAC) წარმოთქვა. კონფერენციაზე ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ „კონკრეტული ძალები, რომლებიც თავისუფლებას, სიმართლეს უპირისპირდებიან, საკუთარი მიზნების მიღწევას ტრადიციული, ოჯახური ფასეულობების ნგრევითა და ყალბი თავისუფლების თავს მოხვევით ცდილობენ - მაგალითად, ლგბტ პროპაგანდით, არასრულწლოვანი ბავშვებისათვის მშობლების გვერდის ავლით სქესის შეცვლის დაკანონების მცდელობით.“ პრემიერის ჰომოფობიური რიტორიკა, რომელიც რელიგიურ და ეროვნულ სენტიმენტებს ეყრდნობა, ზუსტად იმეორებს ულტრამემარჯვენე ჯგუფების დღის წესრიგს.

პრემიერის დაგეგმილ ვიზიტს ბუდაპეშტში ჯერ კიდევ აპრილში დადებითად გამოეხმაურნენ ძალადობრივი და ღიად პრორუსული ულტრამემარჯვენე ჯგუფები საქართველოში. 30 აპრილს „ალტ-ინფოს“ გადაცემაში „დღის კომენტარი“ ულტრამემარჯვენე ჯგუფის „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ თავმჯდომარემ გურამ ფალავანდიშვილმა პრემიერის ვიზიტი უნგრეთში უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეაფასა და აღნიშნა, რომ: „იმის ფონზე, როდესაც მსოფლიო გაყოფილია პროსოდომისტურ და ანტისოდომისტურ ძალებად, ღარიბაშვილის ვიზიტი უნგრეთში ძალზედ მნიშვნელოვანია. იმედი მაქვს, რომ მას ეყოფა ძალა სიმართლის სათქმელად და დაგმობს ანტიდისკრიმინაციულ კანონს.“ პრემიერის ვიზიტი დადებითად შეაფასა „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერმა ირაკლი მარტინენკომაც. თუმცა, 28 აპრილის გადაცემაში „ალტ-ანალიტიკა“ მარტინენკომ განაცხადა, რომ ამ ვიზიტს არსებითი მნიშვნელობა არ ექნება, თუ არ გადაიხედება ქვეყნის საგარეო [ევროპული] კურსი.

პრემიერის ბუდაპეშტში ვიზიტის პარალელურად, ჰომოფობიური რიტორიკა შესამჩნევად გააქტიურდა როგორც ღიად ულტრამემარჯვენე მედია პლატფორმა „ალტ-ინფოს“ ეთერში, აგრეთვე პროსახელისუფლებო მედიების იმედისა და პოსტ tv მხრიდან.

ულტრამემარჯვენე ჯგუფების ჰომოფობიური რიტორიკა განსაკუთრებით მკაფიო გახდა ივლისში, „თბილისი პრაიდის“ კვირეულის პარალელურად. პარტია „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერებმა „პრაიდ ფესტის“ ჩაშლა ივლისის დასაწყისშივე დააანონსეს და მასშტაბური აქციის ორგანიზებაც დაიწყეს. კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერმა ზურა მახარაძემ 6 ივლისს გადაცემა „რეალპოლიტიკაში“ აქციის სამი ძირითადი მოთხოვნა დაასახელა: 1) პრაიდ-ფესტივალის ჩაშლა; 2) 5 ივლისის საქმეზე დაკავებულ პირთა

განთავისუფლება; და 3) კანონპროექტის მიღება „გარყვნილების პროპაგანდის“ წინააღმდეგ. რადიკალური ძალის წარმომადგენლებმა საქართველოს რეგიონებში მხარდამჭერთა მობილიზაციის მიზნით თანხის შეგროვებაც დაიწყეს, თუმცა „თი-ბი-სი ბანკმა“ და „საქართველოს ბანკმა“ მათი ანგარიშები დაბლოკა.

ულტრამემარჯვენე ლიდერების უმრავლესობამ ძალადობის შემცველი მოწოდებებიც გაავრცელა. „კონსერვატიული მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა გიორგი ქარდავამ ვიდეო მიმართვაში პრაიდის კვირეული „გარყვნილების პროპაგანდად და პათოლოგიად“ მოიხსენია და მხარდამჭერებს მისი აღკვეთისკენ მოუწოდა. 2021 წლის 5 ივლისის სცენარის გამეორებით დაიმუქრა „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერი შოთა მარტინენკო: **„რა წინააღმდეგობაც არ უნდა შეგხვდეს, იქამდე უნდა მივიდეთ და აღვკვეთოთ ეს საქონლობა. თუ მაინც შეეცდებიან ჩატარებას, 5 ივლისი მონაგონი იქნება ისეთ დღეს ჩავატარებთ.“** კონსტანტინე მორგოშიას განცხადებით კი, **„8 ივლისი იქნება 5 ივლისს დადგმულ კუბოზე ბოლო ლურსმნის დაჭედება“**.

საზოგადოებაში ჰომოფობიური განწყობების გაღვივებას დეზინფორმაციის გავრცელებით შეეცადა ალექსანდრე ფალავანდიშვილიც. მან 2021 წლის 5 ივლისთან პარალელის გავლების ფონზე მოუწოდა მხარდამჭერებს, ჩაეშალათ ღონისძიება - **„5 ივლისის გარდამტეხი დღიდან 2 წელი გავიდა, ერთიანობა ისევ აუცილებელია. 8 ივლისს, 12:00 საათზე, ვიკრიბებით ვაჟას ძეგლთან გეი ფესტივალის აღსაკვეთად“**.

მიუხედავად იმისა, რომ პრაიდის დასკვნით ღონისძიებამდე გაცილებით ადრე, შინაგან საქმეთა სამინისტრო ინფორმირებული იყო ულტრამემარჯვენე ჯგუფების ძალადობრივი განზრახვის შესახებ, სამინისტრომ არ უზრუნველყო ლგბტქ თემის კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების და გამოხატვის თავისუფლების დაცვა. 8 ივლისს ძალადობრივმა ჯგუფებმა მარტივად შეძლეს პოლიციის კორდონის გარღვევა და პრაიდ-ფესტივალის ჩაშლა. პოლიცია თავად შეუძღვა ჩაშლილი ფესტივალის ტერიტორიაზე „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერ ზურა მახარაძესა და ძალადობრივი ორგანიზაციის „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ დამფუძნებელ ვატო შაქარაშვილს ფესტივალის ორგანიზატორთა ევაკუაციაში დასარწმუნებლად. სამართალდამცავთა ჯეროვანი რეაგირება არ მოჰყოლია არც შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, როდესაც ძალადობრივი ჯგუფის წარმომადგენლებმა ფესტივალის კერძო ტერიტორიის დარბევა და გაძარცვა დაიწყეს.

8 ივლისს განვითარებული მოვლენები ძალადობრივი ჯგუფების მიმართ ხელისუფლების ლოიალური პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელებაა და პირდაპირ კავშირშია 2021 წლის 5 ივლისის ძალადობრივი დარბევის ორგანიზატორების დაუსჯელობასთან, რომლებიც დაუბრკოლებლად ახდენენ ძალადობრივი ჯგუფების მობილიზებას და მართვას.

2. ნეოფაშისტური ჯგუფის „საქართველოს ეროვნული ერთობის“ პოლიტიკური ტრანსფორმაცია

საქართველოში ბოლო წლებში მნიშვნელოვან ტენდენციად ჩამოყალიბდა ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მქონე ჯგუფების პოლიტიკურ ველზე გააქტიურება. კერძოდ, 2023 წელს ცნობილი გახდა ულტრამემარჯვენე ჯგუფის „საქართველოს ეროვნული ერთობის” გადაწყვეტილება პოლიტიკური ტრანსფორმაციის შესახებ. ორგანიზაციამ გამოაქვეყნა სამოქმედო დღის წესრიგიც. აღნიშნული ორგანიზაციის ლიდერმა გიორგი ჭელიძემ, პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ[1] საზოგადოებას გააცნო[2] 14 პუნქტიანი სამოქმედო გეგმა „გადარჩენიდან-აღორძინებამდე“და 2024 წლის არჩევნებში მონაწილეობა დააანონსა[3]. მისი პოლიტიკური დღის წესრიგი მოიცავს სამ ძირითად საკითხს: 1) სასოფლო-სამეურნეო; 2) სამხედრო-სამრეწველო; და 3) დემოგრაფიულ-კულტურული პროგრამა.

როგორც ღია წყაროებში გავრცელებული ინფორმაციიდან ირკვევა, „საქართველოს ეროვნული ერთობა“ შესაძლოა, უკვე პრაქტიკაში ახორციელებდეს თავის პროგრამას და ორგანიზებას უწევდეს ახალგაზრდების, მათ შორის არასრულწლოვანთა მობილიზებას სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციაში „ქართული ეროვნული დარაზმულობა.“ ღია წყაროებში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული ორგანიზაცია გიორგი ჭელიძემ 2022 წლის 23 აგვისტოს დააფუძნა. ორგანიზაციის მიზანს[4] წარმოადგენს ახალგაზრდების კოორდინაცია საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან და სპეციალური სამხედრო დავალებების შესრულება.

გიორგი ჭელიძის მიერ სოციალურ ქსელებში გავრცელებული განცხადებიდან ირკვევა, რომ „ქართული ეროვნული დარაზმულობის“ დაფუძნებისა და მიზნების შესახებ თითქოსდა ინფორმირებულია საქართველოს თავდაცვის მინისტრიც, რომელსაც გიორგი ჭელიძემ განცხადებით[5] მიმართა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის გასაფორმებლად.

ღია წყაროებში ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით, 2023 წლის იანვრიდან მოყოლებული გიორგი ჭელიძე და მისი ჯგუფის წევრები, სოციალური ქსელების მეშვეობით ავრცელებენ ანკეტას და საქართველოს მოქალაქეებს, მათ შორის, არასრულწლოვანებს (14 წლიდან) „სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციაში გაწევრიანებისკენ“ მოუწოდებენ. ანკეტაში ხაზგასმულია, რომ ახალგაზრდების რეკრუტირების მიზანს წარმოადგენს „მოქალაქეებში საერთო ეროვნული დისციპლინისა და თვითორგანიზებისაკენ სწრაფვისა და კანონმორჩილების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განმტკიცება.“ აღნიშნული ანკეტიდანვე ცნობილია, რომ ორგანიზაცია ახალგაზრდების მობილიზებას ახორციელებს კურსზე, რომელიც მოიცავს აღჭურვილობით წვრთნისა და სამხედრო ვარჯიშების შესაძლებლობას. საუკეთესო კურსდამთავრებულებს გიორგი ჭელიძე სთავაზობს შესაძლებლობას, ჩაერთონ „ქართული ეროვნული დარაზმულობის“ ელიტარულ დანაყოფში – „საგანგებო სპაში“.

---

[1] ჭელიძე სასჯელს იხდიდა იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისთვის (სსკ-ს 236-ე მუხლი).

[2] იუთუბ არხი Geo national unity –*„არჩევნები 2024-უკანასკნელი შანსი ქართველი ერისათვის! სწორი არჩევანის დროა! აირჩიე 14 პუნქტიანი გეგმა“,* 20.05.2023.

[3] ფეისბუქ გვერდი „ეროვნული ალიასი“.

[4] ფეისბუქ გვერდი „არიან TV - ანალიტიკა“.

[5] ფეისბუქ გვერდი, „არიან TV - ანალიტიკა“.

„საქართველოს ეროვნული ერთობის“ იუთუბ[6] და ტელეგრამ[7] არხებზე გამოქვეყნებული ვიდეოების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ ეტაპზე, სამხედრო წვრთნები შესაძლოა უკვე მიმდინარეობდეს. გარდა ამისა, ორგანიზაცია შესაძლოა, მხარდამჭერთა მობილიზებას[8] ახდენდეს ქუთაისსა და რუსთავშიც. „საქართველოს ეროვნული ერთობის“ ლიდერის გიორგი ჭელიძის განცხადებით, მასშტაბური სამხედრო წვრთნების მიზანი ომის შემთხვევაში საქართველოს შეიარაღებული ძალების მხარდაჭერა და პარტიზანული ბრძოლების წარმოებაა.

„ქართული ეროვნული დარაზმულობა“ ღიად აიდენტიფიცირებს თავს ფაშისტურ დაჯგუფებად და საჯარო ფეისბუქ ჯგუფში „ეროვნული დარაზმულობა“ მიუთითებს, რომ სწორედ „ფაშიზმია ერთადერთი ფორმა, რომლითაც ერს შეუძლია იმოქმედოს.“ ნეოფაშისტური მიზნები და სულისკვეთება იკვეთება „ქართული ეროვნული დარაზმულობის“ სააპლიკაციო ფორმაშიც. გარდა სამხედრო მობილიზების სურვილისა, ანკეტაში ღიად არის ხაზგასმული პოლიტიკური იდენტობის საკითხებიც. კერძოდ, ღიად ნეოფაშისტური ორგანიზაცია წევრთა მიღებას, მათ შორის, არასრულწლოვანების, ახდენს შემდეგ პოლიტიკურ საკითხებზე აქცენტირებით - ემხრობი თუ არა ქართულ ეროვნულ იდეას, ქართულ ნაციონალიზმს? ხართ თუ არა რომელიმე მოძრაობის, პარტიის წევრი ან აქტივისტი?. აღნიშნული შეკითხვები მიუთითებს, რომ ნეოფაშისტური მოძრაობა „საქართველოს ეროვნული ერთობა“ 2024 წლის არჩევნებამდე ცდილობს მხარდამჭერთა მობილიზებას, ნაციონალისტურ და ფაშისტურ იდეოლოგიაზე დაყრდნობით.

*წყარო: „ეროვნული ერთობის“ **იუთუბ** არხი*



*წყარო: ეროვნული ერთობის” **ტელეგრამ** არხი*

„საქართველოს ეროვნული ერთობა“ გამოირჩევა ანტისაიმიგრაციო პოლიტიკით და საკუთარ წინასაარჩევნო პოლიტიკურ კამპანიას ქსენოფობიურ დისკურსზე აფუძნებს. ორგანიზაცია ასევე გამოირჩევა ანტისაოკუპაციო და ანტირუსული განწყობებით, რის ნიადაგზეც ღია კონფრონტაციაშია ულტრამემარჯვენე ფლანგის სხვა წარმომადგენლებთან საქართველოში. 2023 წლის 1 ივლისს „საქართველოს ეროვნულმა ერთობამ“ საპროტესტო აქცია გამართა ლოზუნგით: „დაიცავი შენი მიწა-წყალი! დაიცავი შენი ერი! საკუთარი მომავალი“. მცირერიცხოვანი აქცია, რომელსაც 40-მდე დემონსტრანტი ესწრებოდა, მიმართული იყო საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების წესის გამარტივებასთან დაკავშირებული კანონპროექტის წინააღმდეგ. აქციაზე

[6] იუთუბ არხი, Geo national unity.
[7] ტელეგრამ არხი, „არიან ქორთუ“.
[8] ტელეგრამ არხი, „არიან ქორთუ“.

შესამჩნევი იყო ნეოფაშისტური სიმბოლიკისა და დროშების სიმრავლე. ანტისაიმიგრაციო მუხტი საგრძნობი იყო მთელი აქციის პროცესში. დემონსტრანტები მიგრანტებს ასახელებდნენ ქვეყნის მნიშვნელოვან საფრთხედ და ქართველი ერის გენოციდის წინაპირობად. ასევე შესამჩნევი იყო ანტილიბერალური და ანტისაბჭოური განწყობებიც. დემონსტრანტები ღიად აღნიშნავდნენ, რომ მათი პროტესტი მიმართული იყო როგორც ლიბერალური, ასევე საბჭოური პოლიტიკური დღის წესრიგის წინააღმდეგ. აქციაზე ორგანიზატორმა გიორგი ჭელიძემ მთავრობის ინიციატივა ორგანულ კანონში შესატან საკანონმდებლო ცვლილებთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს მოქალაქეობის მიღების პროცედურებს ამარტივებს, მოღალატეობრივ საქმიანობად და „უცხოტომელთათვის“ ქვეყნის გადაბარების პროცესად შეაფასა. ჭელიძის განცხადებით, ორგანიზაცია ეწინააღმდეგება უცხოელთათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების წესის გამარტივებას და არ დაუშვებს ქართული მიწების უცხოელთათვის გადაცემას. *„ამ მიწას, ამ კორპუსებს, სადაც ხდება ჩასახლება რუსების, ზანგების, არაბების, ჩინელების, ინდოელების, მე გაძლევთ თქვენ პირობას – გიორგი ჭელიძე, „საქართველოს ეროვნული ერთობის“ მეთაური, რომ როგორც კი ჩვენ ძალაუფლებაში მოვალთ და მუშაობას დავიწყებთ, ერთ თვეში ქვეყანა იქნება გაწმენდილი უცხო თესლისგან.“*



3. საქართველოში არსებული ულტრამემარჯვენე აქტორების ანოტაციები

„საქართველოს ეროვნული ერთობა“

იდეოლოგია: ფაშიზმი, ინტეგრალური ნაციონალიზმი[9]

სიმბოლო: ვერმახტის ქართული ბატალიონის[10] სამკლავე დროშა და ჯვარი

ლოზუნგი: „დიდება ერს! გამარჯვებას დიდება!“

ლიდერი: გიორგი ჭელიძე

დაფუძნების თარიღი: 2016 წლის 2 ნოემბერი

ოფიციალური არხები: https://www.youtube.com/@GeoNationalUnity ;
https://t.me/GeoNatUnity
https://www.tiktok.com/@geo.national.unity

თავდაპირველად, „საქართველოს ეროვნული ერთობა“ საჯარო რეესტრში 2016 წლის 2 ნოემბერს დარეგისტრირდა. საწყის ეტაპზე მას თორნიკე კივილაძე ხელმძღვანელობდა, თუმცა საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების თანახმად, 2018 წელს მან ორგანიზაცია იდეოლოგიური შეუთავსებლობის ნიადაგზე დატოვა, ლიდერობა კი გიორგი ჭელიძემ გადაიბარა. წესდების თანახმად, გაერთიანების უმთავრეს მიზანს *„ქართველი ერის და ქართული სახელმწიფოს დემოგრაფიული, ტერიტორიული მთლიანობის, კოგნიტიური, სულიერი, კულტურული, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სამხედრო, სამართლებრივი დაცვა“* წარმოადგენს. წესდებით განსაზღვრულია ორგანიზაციის მმართველობითი სტრუქტურაც. კერძოდ, ორგანიზაციას ხელმძღვანელობს „მეთაური“, რომლის ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილია, რომ ის

[9] ინტეგრალური ნაციონალიზმი - ხასიათდება არალიბერალური მიდგომებით. ერს წარმოაჩენს ორგანულ მთლიანობად და მოითხოვს პიროვნების სრულ მორჩილებას ეროვნული ინტერესებისადმი.
[10] ვერმახტის ქართული ბატალიონი - ქართული სამხედრო ფორმირება, რომელიც მესამე რაიხის მხარეს იბრძოდა მეორე მსოფლიო ომის დროს.

ხელმძღვანელობს დარგობრივ ჯგუფებს, ადგილობრივ შენაერთებს და მათ წინამძღოლებს; ხოლო მმართველობით ორგანოს წარმოადგენს სამეთაურო დარბაზი.

გიორგი ჭელიძის მიერ „საქართველოს ეროვნული ერთობის“ პოლიტიკურ პარტიად ტრანსფორმაციის დაანონსების შემდეგ, გავრცელდა ორგანიზაციის 14 პუნქტიანი სამოქმედო გეგმა „გადარჩენიდან-აღორძინებამდე“, რომელშიც ორგანიზაციის ამოცანად მითითებულია 1991 წ. 31 მარტის რეფერენდუმის გადაწყვეტილების აღსრულება, ქართველი ერის ფიზიკური და კულტურული გენოციდის აღკვეთა და მიწისა და ხელისუფლების ერისთვის გადაცემა. ამ მიზნის განსახორციელებლად „საქართველოს ეროვნულ ერთობას“ სამი ძირითადი პროგრამა აქვს შემუშავებული: 1) სასოფლო-სამეურნეო; 2) სამხედრო-სამრეწველო; 3) დემოგრაფიულ-კულტურული.

სასოფლო-სამეურნეო პროგრამით, „საქართველოს ეროვნული ერთობა“ ქართული მიწებისა და ბუნებრივი რესურსების ქართველი ერის ეროვნულ საკუთრებად გამოცხადებას აპირებს, რაც უცხოელებისთვის მიწის ან ბუნებრივი რესურსების საკუთრებაში ქონის კონსტიტუციით გათვალისწინებული აკრძალვით იქნება უზრუნველყოფილი. სამხედრო-სამრეწველო პროგრამის ძირითადი მიმართულება ითვალისწინებს მაღალტექნოლოგიური სამხედრო მრეწველობის განვითარებას და საგანმანათლებლო სივრცეებში ახალგაზრდების გადამზადებას სამხედრო და ფიზიკური წვრთნების საშუალებით. დემოგრაფიულ-კულტურული პროგრამის ძირითად პრიორიტეტად კი ორგანიზაცია ქართული მსოფლმხედველობისა და გენოფონდის გაძლიერებას ასახელებს. ღიად ნეოფაშისტური ორგანიზაციის სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება სამხედრო მიმართულებაზე, რომელიც მოიაზრებს თავდაცვის ტოტალური სამობილიზაციო სისტემის შექმნას და სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლას საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, განურჩევლად სქესისა.

„საქართველოს ეროვნული ერთობის“ წევრები სოციალურ ქსელებში ხშირად პოზიციონირებენ ნაცისტური სიმბოლოებით და ფაშისტურ/ნაცისტური იდეოლოგიის ლიდერებს ადოლფ ჰიტლერს და ბენიტო მუსოლინის ციტირებენ. ორგანიზაციის ლიდერ გიორგი ჭელიძეს იუთუბის ოფიციალურ არხზე აქვს საავტორო გადაცემა, სახელწოდებით „ფაშისტური საუბრები“, სადაც ხშირად ციტირებს ადოლფ ჰიტლერის ფრაზებს წიგნიდან „ჩემი ბრძოლა“.



14/88
გამარჯვებას დიდება!

წყარო: „ეროვნული ერთობის“ იუთუბ არხი *წყარო: „ეროვნული ერთობის“ ტელეგრამ არხი*

ღიად ნეოფაშისტური „საქართველოს ეროვნული ერთობის“ წარსული გამოცდილება უკავშირდება ისეთ ძალადობრივ აქტივობას, როგორიც იყო 2018 წლის 13 მაისს ნარკოპოლიტიკის შეცვლის მოთხოვნით გამართული აქციის საპასუხო დემონსტრაცია. ჭელიძის შეფასებით, აღნიშნული კონტრაქცია „ნარკოტიკების მოხმარების“ და „გეი

პროპაგანდის“ წინააღმდეგ იყო მიმართული. მან აღნიშნულ კონტრაქციაზე თანამოაზრეებს სამოქალაქო გვარდიის ჩამოყალიბებისკენ ღიად მოუწოდა და აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში, თავადვე უზრუნველყოფდა საზოგადოების უსაფრთხოების დაცვას.

ამ ეტაპზე, ნეოფაშისტური ორგანიზაცია „საქართველოს ეროვნული ერთობა“ ანტიიმიგრაციული მიმართულებით აქტიურობს. მათი უკმაყოფილება საქართველოს მოქალაქეობის მიღების გამარტივებასთან დაკავშირებით მთავრობის ინიციატივამ გამოიწვია.



წყარო: „ეროვნული ერთობის” ტელეგრამ არხი

„საქართველოს ეროვნული ერთობა“ მხარდაჭერების მობილიზაციას აქტიურად ახდენს სხვადასხვა სოციალური ქსელებისა და არხების გამოყენებით. კერძოდ, პოზიციონირებს ფეისბუქის, ტელეგრამის, ტიკტოკისა და იუთუბის საშუალებით. ამჟამინდელი მონაცემებით, „საქართველოს ეროვნულ ერთობას“ იუთუბ არხზე 3 500, ტიკტოკზე – 116, ხოლო ტელეგრამ ჯგუფში 1 213 გამომწერი ჰყავს. ამ არხების საშუალებით ორგანიზაცია აქტიურად ავრცელებს ინფორმაციას საკუთარი სამოქმედო გეგმის, საპროტესტო აქციებისა და იდეოლოგიური ნარატივების შესახებ.

„საქართველოს ეროვნული ერთობის“ არხები სოციალურ ქსელებსა და პლატფორმებზე

Telegram	„არიან ქორთუ“	1 213 გამომწერი
YouTube	„Geo National Unity“	3 500 გამომწერი
TikTok	„Georgian National Squad“	116 გამომწერი
Facebook ჯგუფი	ეროვნულ – სოციალისტური მოძრაობა ,,საქართველოს ეროვნული ერთობა“	404 წევრი

„ქართული იდეა“

პარტიის იდეოლოგია: ეთნოცენტრიზმი[11]

პოლიტიკური საარჩევნო ნომერი: N44

ლოზუნგი: რწმენით და სიყვარულით, ღირსეული მომავლისთვის

სიმბოლიკა: ლოგოს აქვს ფარის ფორმა, რაზეც წრეზე ათი გვირგვინა ქანჩია გამოსახული და აღბეჭდილია ქართული დამწერლობის სამი ისტორიული ანბანის ერთიანობა.

პარტიის ლიდერი: ლევან ჩაჩუა

დაფუძნების თარიღი: 2014 წლის 16 დეკემბერი

ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/qartuliideaa

საჯარო რეესტრის ოფიციალური მონაცემებით, 2014 წლის 21 თებერვალს ლევან ჩაჩუამ საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული იდეა“ არასამეწარმეო იურიდიულ პირად დაარეგისტრირა. მისივე განცხადების საფუძველზე, 2014 წლის 31 მარტს საჯარო რეესტრმა ლიკვიდირებულად გამოაცხადა საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული იდეა.“ ამავე წლის 16 დეკემბერს „ქართული იდეა“ დარეგისტრირდა, როგორც პოლიტიკური პარტია. ინფორმაცია პოლიტიკური სუბიექტის დაარსების შესახებ ლევან ჩაჩუამ საზოგადოებას „რიანოვოსტის“ თბილისის პრესცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე აუწყა.

[11] იდეოლოგია, რომელიც ეფუძნება საკუთარი ერისა და კულტურული ფასეულობების გაზვიადებას, ხოლო სხვა ეთნოსებისადმი გამოირჩევა მკვეთრად ნეგატიური და ტენდენციური მსჯელობით. საკუთარ ეროვნულ ფასეულობებს აღიქვამს რა როგორც ეტალონს, აქვს წინასწარ ჩამოყალიბებული აზრი იმის შესახებ, თუ რა არის სწორი, მისაღები, მორალური და ჯანმრთელი.

ინფორმაცია სუბიექტზე	
საიდენტიფიკაციო კოდი	405031371
პირადი ნომერი	
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი	
დასახელება	საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული იდეა
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
რეგისტრაციის თარიღი	21 თებერვალი 2014
სტატუსი	ლიკვიდირებულია

პარტია „ქართული იდეა“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში, 18 ნომრით მონაწილეობდა და 2 019 ხმა (0.17%) მიიღო. ცესკოსთვის მიწოდებულ სიაში „ქართული იდეის“ მეორე ნომრად წარდგენილი იყო „ქართული მარშის“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, შემოწირულების სახით, პარტიამ 14 459 ლარი მიიღო. პარტია „ქართულმა იდეამ“ 2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებშიც მიიღო მონაწილეობა, ნომრით 44. პარტიის პირველ ნომრად წარდგენილი იყო ლევან ჩაჩუა, ხოლო მეორე ნომრად „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ თავმჯდომარე, ჰომოფობიური გამოსვლებით ცნობილი გურამ ფალავანდიშვილი. პარტიამ 8 263 ხმა (0.43 %) მიიღო.

„ქართული იდეის“ ლიდერები გამოირჩევიან ჰომოფობიური და ქსენოფობიური რიტორიკით. ხშირად აპელირებენ ეროვნული იდენტობის დაცვის საკითხებითა და რელიგიური სენტიმენტებით. 2024 წლის წინასაარჩევნო პერიოდში პარტიის ლიდერი ლევან ჩაჩუა „კონსერვატიულ ფლანგს“ ერთობისკენ მოუწოდებს და გამოდის ინიციატივით, შეიქმნას „ეროვნულ-ეკლესიური ერთობა“, რომელში გაწევრიანებაც მოხდება არა პარტიული, არამედ პიროვნული მახასიათებლებიდან გამომდინარე. ლევან ჩაჩუა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ერთობას კურთხევა და პოლიტიკური ლეგიტიმაცია უნდა მიანიჭოს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ.

პარტია „ქართული იდეის“ პოლიტიკურ პრიორიტეტად განსაზღვრულია ეროვნული ეკონომიკური მიმართულების ჩამოყალიბება, რაც სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტებისა და სასარგებლო წიაღისეულის ნაციონალიზაციას მოიაზრებს. ასევე, პარტია ემხრობა მკაცრი საიმიგრაციო პოლიტიკის შემუშავებას და ამ მიმართულებით, მიგრანტების შემოსახლებაზე, მოქალაქეობისა და ბინადრობის მიღებაზე მკაცრი კონტროლის დაწესებას. „ქართული იდეის“ წარმომადგენლები მუდმივად უსვამენ ხაზს საგანმანათლებლო პროცესში ეკლესიის ჩართულობის მნიშვნელობას და აღნიშნავენ, რომ განათლების სისტემის ხარისხის გაუმჯობესება უნდა მოხდეს ეკლესიის დახმარებით.

„ქართული იდეის“ ლიდერები ღიად უჭერენ მხარს 2021 წლის 5 ივლისს ძალადობრივი აქციის მონაწილეებს და აღნიშნულ საკითხზე დაპატიმრებულ ადამიანებს „სინდისის პატიმრებად“ მოიხსენიებენ. „ქართული იდეა“ შეუერთდა „ალტ-ინფოს“ მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებსაც, რომლის მთავარი მოთხოვნა სწორედ 5 ივლისის საქმეზე დაპატიმრებული ადამიანების განთავისუფლება იყო.

„კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“

პოლიტიკური იდეოლოგია: ულტრამემარჯვენე ნაციონალ-კონსერვატიზმი[12]

პარტიის თავმჯდომარე: გიორგი ქარდავა

გენერალური მდივანი: შოთა მარტინენკო

დაფუძნების თარიღი: 2021 წლის 7 დეკემბერი

ვებ-გვერდი: https://conservativemovement.ge/

„კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ ულტრამემარჯვენე და ღიად პრორუსული „ალტ-ინფოს“ პოლიტიკური წარმონაქმნია. პარტიის პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობაში არიან ირაკლი მარტინენკო, ირაკლი მორგოშია, გიორგი ქარდავა და ვასილ გვალია. „კონსერვატიული მოძრაობის/ალტ-ინფოს“ ლიდერები 2021 წლის 5 ივლისის მასობრივი ძალადობის ორგანიზატორები არიან, თუმცა მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დრომდე არ დამდგარა. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, „კონსერვატიული მოძრაობა“ 2021 წლის 7 დეკემბერს დარეგისტრირდა. თავდაპირველად, პარტიის თავმჯდომარე ზურა მახარაძე, გენერალური მდივანი კი - გიორგი ქარდავა იყო. ორივე „ალტ-ინფოს“ სახეა. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების რეესტრში 2022 წლის აპრილში ასახული ცვლილებებით, პარტიის სახელწოდებად განისაზღვრა „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“, პარტიის თავმჯდომარედ - გიორგი ქარდავა, გენერალურ მდივნად კი - შოთა მარტინენკო. პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი კონსტანტინე (კოკა) მორგოშიაა.

პარტიულ ყრილობაზე ლიდერებმა განაცხადეს, რომ მათი მთავარი პრიორიტეტი ქვეყნის უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობა, „უკიდურესი სიდუხჭირის“ აღმოფხვრა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება იქნება. დასახული მიზნების განხორციელების გზას კი კრემლთან თანამშრომლობაში ხედავენ და აღნიშნავენ, რომ სწორედ რუსეთში წყდება

[12] ქოლგა ტერმინი, რომელიც აერთიანებს რადიკალურ, ულტრანაციონალისტურ და ექსტრემისტულ იდეოლოგიებს. მოქმედების ინსტრუმენტად კი იყენებს ქსენოფობიას, ჰომოფობიას და მიზოგინიას.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი.

2022 წლიდან 2023 წლის ივნისის ჩათვლით პარტიას 102 შემომწირველი ჰყავს. აქედან 101 ფიზიკური პირია და ერთი იურიდიული. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა შეისწავლა თითოეული შემომწირველის მონაცემები. მათგან მხოლოდ 33 ფლობს უძრავ ქონებას. 30 შემომწირველი კი რეგიონული ოფისების ხელმძღვანელია.

კონსერვატიული მოძრაობის ყველაზე მსხვილი შემომწირველია კახაბერ ელიზბარაშვილი, რომელსაც პარტიისთვის 41.745 ლარი აქვს შეწირული. მეორე ადგილზე ზურაბ კობახიძეა; მის მიერ შეწირული თანხის ოდენობა 41.693 ლარია. მესამე ადგილს გოგა თუხარელი იკავებს, მეოთხეს- გიგა კობახიძე, მეხუთეს კი მერაბ გიგანი.

„კონსერვატიულმა მოძრაობამ/ალტ-ინფომ“ რეგიონული ოფისების გახსნა 2022 წლის იანვარში დაიწყო და მცირე დროში **საქართველოს მასშტაბით 64 რეგიონული ოფისი გახსნა.** თუმცა 2022 წლის აგვისტოში გავრცელდა ინფორმაცია[13], რომ რადიკალურმა ჯგუფმა 10-მდე ოფისი დახურა. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი დაინტერესდა, 2023 წლის ზაფხულის მდგომარეობით, რამდენი რეგიონული ოფისი ფუნქციონირებს. ჩვენთან სატელეფონო საუბარში კონსტანტინე მორგოშიამ განაცხადა, რომ დაახლოებით 5 ოფისი დახურულია და რამდენიმემ ლოკაცია შეიცვალა. მორგოშიას სიტყვებიდან გამომდინარე, რეგიონული ოფისების რიცხვი 59-ია.

„კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფო“ გამოირჩევა მკვეთრად ჰომოფობიური დისკურსით. სწორედ აღნიშნული დაჯგუფების ლიდერთა მხრიდან დაორგანიზდა თბილისი პრაიდის მიერ დაგეგმილი ფესტივალის წინააღმდეგ მასშტაბური ძალადობრივი აქციები 2021 წლის 5 ივლისსა და 2023 წლის 8 ივლისს.

[13] რადიო თავისუფლება, *„კონსერვატიული მოძრაობა“ 10-მდე ოფისს ხურავს - აქვს თუ არა „ალტ-ინფოს“ ფინანსური პრობლემა?”*, 10 აგვისტო 2022 წელი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31982341.html